ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1569411

ნომერი: AR1252548

თარიღი : 29.09.2014

გაცემის თარიღი : 30.10.2014

გაცნობის თარიღი : 30.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I , კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ და, ქალაქი თბილისი, გლდანი, შპს "ავტოს" მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ჯაიანი პ/ნ 01008006027
- ირაკლი აბაშიძის 84

ორგანიზაცია:
- შპს ადია კოდი: 204541683

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 სექტემბრის #1475859 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 29 სექტემბერს #AR1252548 განცხადებით მომართა შპს „ადია“–ს დირექტორის მინდობილმა პირმა გოჩა ჯაიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 12 სექტემბრის #1475859 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 სექტემბრის #1475859 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (გლდანი), გლდანში პირველ მ/რ–ში, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ და გლდანში, შპს ,,ავტოს" მიმდებარედ (საკ. კოდი: #01.11.12.015.161), და ქ. თბილისში, გლდანი, მიკრო/რაიონი I, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ და, ქალაქი თბილისი, გლდანი, შპს "ვტოს" მიმდებარედ, შპს ,,ადია"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: #01.11.12.015.162) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 12 სექტემბრიდან 2015 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 8632.60 კვ.მ–ის ნაცვლად 8632.7 კვ.მ, საოფისე ფართობად 1266.85 კვ.მ–ის ნაცვლად 1264.85 კვ.მ, კომერციულ ფართობად 1616.80 კვ.მ–ის ნაცვლად 1520.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1576,90 კვ.მ–ის ნაცვლად 1061.75 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2289,80 კვ.მ–ის ნაცვლად 816.1 კვ.მ, სასაწყობე ფართობად 377.85 კვ.მ–ის ნაცვლად 371.9 კვ.მ, დამხმარე ფართობად 106,80 კვ.მ–ის ნაცვლად 73.1 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 2051.65 კვ.მ–ის ნაცვლად 2077.5 კვ.მ. შესაბამისად, ცალკეული ფართობის ციფრობრივი მაჩვენებლის შეცვლის გამო შეიცვალა საერთო ფართობი და 15817.9 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 17919,25 კვ.მ–ს.

სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება 2014 წლის 12 სექტემბრის #1475859 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 სექტემბრის #1475859 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს – 17919,25 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 8632.60 კვ.მ, საოფისე ფართობად – 1266.85 კვ.მ, კომერციულ ფართობად – 1616.80 კვ.მ, საზაფხულო ფართობად –1576,90 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 2289,80 კვ.მ, სასაწყობე ფართობად – 377.85 კვ.მ, დამხმარე ფართობად – 106,80 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად – 2051.65 კვ.მ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 სექტემბრის #1475859 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.